# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტი

**2022-2024**

# ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სტრატეგია

**2022-2024**

## 1. შესავალი

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის" (შემდგომში „სტრატეგია") მიზანია, მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, სპეციფიკურ საჭიროებებს, ინტერესებს, ადამიანური და სოციალური კაპიტალის განვითარებას, თანაბარუფლებიანი, თანასწორი ეკოსისტემის ჩამოყალიბებას, ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობას, მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას.

„ახალგაზრდობა არის საზოგადოების მნიშვნელოვანი სეგმენტი, რომელსაც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის შეტანის დიდი პოტენციალი აქვს. ამ პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის აუცილებელია, სახელმწიფომ შექმნას სათანადო პირობები, მყისიერად უპასუხოს ახალგაზრდების წინაშე არსებულ გამოწვევებს, განახორციელოს თანამიმდევრული, საჯარო და ინტეგრირებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა ახალგაზრდებისთვის და ახალგაზრდებთან ერთად. აღნიშნული პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ადამიანის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და გარემოს დაცვის პრინციპებს. მნიშვნელოვანია, ახალგაზრდები, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რათა წვლილი შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში."(2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია)

ვინაიდან, ადგილობრივი თვითთმმართველობა ყველაზე ახლოს დგას მოსახლეობასთან, ხალხთან და მათ შორის ახალგაზრდებთან, ახალგაზრდობის პოლიტიკა დიდწილად ადგილობრივია და პირველ რიგში, სწორედ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები უზრუნველყოფენ ახალგაზრდების მყისიერ და პირდაპირ მხარდაჭერას და სერვისების მიწოდებას მათთვის. გამომდინარე აქედან, აუცილებელია არსებობდეს ახალგაზრდობის კეთილდღეობისა და განვითარების მხარდაჭერის მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტები (სტრატეგიები), რომელიც სახელმწიფო ახალგაზრდობის პოლიტიკას დაეფუძნება და პარალელურად გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები, ხოლო ამის საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი მიდგომები და პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება და უზრუნველყოფს მათი შესაძლებლობების განვითარებას, რადგან ახალგაზრდობა ქვეყნის განვითარების ძირითადი რესურსია. (მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდარტი)

სტრატეგიის შემუშავების პროცესში გამოყენებული იქნა მუნიციპალური ახალგაზრდობის განვითარების სტანდარტის დოკუმენტი და ე.წ. „ლოგიკური ჩარჩოს მიდგომა", რაც ითვალისწინებს არსებული სიტუაციის ანალიზს და გამოწვევებისა და საჭიროებების იდენტიფიცირებას, ხოლო მათ საფუძველზე შესაბამისი მიზნების და ამოცანების განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ჩამოყალიბებას.

## 2. პრინციპები

ადგილობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისთვის და სტრატეგიაში გაწერილი მიზნების მიღწევისთვის აუცილებელია შემდეგი პრინციპების გათვალისწინება:

- ახალგაზრდების მონაწილეობა: ახალგაზრდები იღებენ მონაწილეობას, როგორც ახალგაზრდობის პოლიტიკის შემუშავების ისე მისი განხორციელების პროცესშიც, გადაწყვეტილებები მიიღება მათთან ერთად, მათი საჭიროებების შესაბამისად, მათი ჩართულობით;
- პარტნიორობა და თანამშრომლობა: სტრატეგია მორგებულია ახალგაზრდულ საჭიროებებზე, სტრატეგია შემუშავდა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, დაინტერესებულ მხარეებთან, სამოქალაქო და საჯარო სექტორთან კონსულტაციების შედეგად, რესურსების მოძიება, ახალი პარტნიორობისა და თანამშრომლობის განვითარება, ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების მოგვარების მიზნით პოლიტიკის დოკუმენტის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა: სტრატეგიასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღება უნდა ხდებოდეს მკტიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით. ადგილობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკა ექვემდებარება შემუშავებას, განხორციელებას, შეფასებასა და გადასინჯვას მაღალხარისხიანი კვლევითი სამუშაოების შედეგების საფუძველზე და იმ ახალგაზრდების შეხედულებებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს პოლიტიკა;
- ახალგაზრდული პოლიტიკა ეფუძნება ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებს და არ უგულებელყოფს არცერთ მათგანს, სტრატეგია უზრუნველყოფს, რომ ყველა ახალგაზრდა თანაბრად სარგებლობდეს იმ შესაძლებლობებით და სიკეთეებით, რაც უკვე არსებობს ან მომავალში შეიქმნება. განსაკუთრებული ყურადღება სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მონაწილეობას;
- სტრატეგიისა და ადგილობრივი ახალგაზრდობის პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები ხელს უნდა უწყობდეს გრძელვადიანი და მდგრადი შედეგების მიღწევას.
- ადგილობრივი თვითმმართველობა ანგარიშვალდებულია ახალგაზრდების წინაშე და აბარებს მათ ანგარიშს, ამ სფეროში გადადგმული ნაბიჯების, გამოწვევების და გეგმების შესახებ, მათ შორის ბიუჯეტის ხარჯვის კუთხით და განსაკუთრებით კი ადგილობრივ დონეზე, სადაც საბიუჯეტო პროცესების წარმოება ღიად და გამჭვირვალედ უნდა მიმდინარეობდეს;

## 3.სიტუაციური ანალიზი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდობის საჭიროებებისა და გამოწვევების 2021 წლის კვლევა რომელიც, მომზადდა კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი"-ს მიერ სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსთვის. აღნიშნული კვლევის მიხედვით გამოვლინდა შემდეგი პრობლემები და მიგნებები:

- ახალგაზრდობის მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების არსებობის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გამოკითხულთა 52%-ია ინფორმირებული;

აღნიშნულის გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს ის, რომ მუნიციპალური პროგრამები და აქტივობები არ არის ახლგაზრდებზე მორგებული თავად ახალგაზრდებს არ ეკითხებიან მათი საჭიროებების შესახებ და ამ ინფორმაციის გარეშე გეგმავენ აქტივობებს.

- ყველაზე სერიოზული გამოწვევა ახალგაზრდებისთვის დასაქმებაა და სწორედ დასაქმების ხელშეწყობა სახელდება განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხად უმრავლესობის მიერ (46%);

  მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით კი სოფლის ტიპის დასახლებებში, ზოგადად სამუშაო ადგილების სიმწირეა ნებიმისმიერ სფეროში და დაბალი ანაზღაურება.

  დამსაქმებლის პირობებს დასაქმებულები იშვიათად აპროტესტებენ და მაინც თანხმდებიან დაბალ ანაზღაურებას მაღალი სამუშაო დატვირთვის პირობებში.

  სამუშაო გამოცდილების მოთხოვნა, როგორც დასაქმების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა, განსაკუთრებული გამოწვევაა პირველი სამუშაოს მაძიებელთათვის, რომელთაც პრაქტიკულად არ ეძლევათ სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა. არც სტაჟირების პროგრამებია ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული. შესაბამისი კვალიფიკაციის არარსებობა არის მნიშვნელოვანი გამოწვევა.

  პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში მხარდაჭერა დაეხმარებოდა დასაქმებაში გამოკითხულთა ყველაზე დიდ ნაწილს (61%). ამასთან, სტაჟირების/სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობა (58%) და ინგლისური ენის შესწავლა/დახვეწაში მხარდაჭერა (48%);
- სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავება შეფასებულია როგორც მნიშვნელოვანი და ამასთან, სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვნად ჩაითვალა ახალგაზრდების დიდი ნაწილის მიერ (54%);

  მიუხედავად სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავების მნიშვნელოვნად შეფასებისა, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის მისით დაკავებული. ათიდან მხოლოდ სამი რესპონდენტი მიუთითებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ან თითქმის ყველა დაკავებულია სპორტით(28%);
- სპორტული ინფრასტრუქტურის გამართვა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, ასევე სპორტულ წრეებზე ხელმისაწვდომობა, ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი სპორტით/ფიზიკური აქტივობით მეტი ახალგაზრდის დაინტერესებისთვის;
- ახალგაზრდებისთვის დასახლებაში ისეთ სერვისებზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობა გამოიკვეთა, როგორებიცაა სივრცეები შეკრებებისთვის (40%), ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები (35%), ასევე თუ ბიბლიოთეკა/სამკითხველო კლუბი (34%). ამასთან, ახალგაზრდული საქმიანობის სერვისები 26%-მა დაასახელა მნიშვნელოვნად;
- რეგიონში ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი არ მონაწილეობს ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (81%);

  ახალგაზრდებმა არ იციან ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ და არ ფლობენ ინფორმაციას შესაბამისი უფლების თაობაზე. ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის მცდელობის წარუმატებელი შემთხვევებია, რაც ახალგაზრდების დემოტივაციას და ნიჰილიზმს იწვევს.
- გამოკითხულთა 31% მიუთითებს, რომ მათ მუნიციპალიტეტში აქტიური ახალგაზრდების მცირე ჯგუფები არსებობს, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობენ. ამასთან, 19% ამბობს, რომ მათ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდები არ მონაწილეობენ სამოქალაქო აქტივობებში;

  დაბალი სამოქალაქო აქტივობის მთავარ მიზეზად გამოკითხულები იმას მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა.

  დაბალი სამოქალაქო ჩართულობის მიზეზებად სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელოვნების გაუცნობიერებლობა, ჩართულობის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის არქონა და, ასევე იმ აქტივობების არდაგეგმვა სახელდება, რომლებშიც შეიძლება მონაწილეობის მიღება;

- მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობის გამოცდილება ბოლო 1-2 წლის განმავლობაში 51%-ს აქვს, 49%-ს კი - არა. ამგვარი გამოცდილების არარასებობის მთავარ მიზეზებად ახალგაზრდები ასახელებენ იმას, რომ არ სმენიათ მსგავსი აქტივობების შესახებ, ვერ მოიცალეს ან არ ჰქონდათ სურვილი;
  სამოქალაქო აქტივობაში არმონაწილეობის მთავარი მიზეზი სურვილის არქონაა (44%). ამასთან, 29% მიზეზად იმას ასახელებს, რომ არ სმენია დაგეგმილი აქტივობების შესახებ, მეხუთედი კი იმას, რომ ვერ მოიცალა აღნიშნულისთვის (20%)
  დაბალია ახალგაზრდების მონაწილეობა სხვადასხვა სამოქალაქო აქტივობაში. მსგავსი გამოცდილების არარსებობას ბოლო 1-2 წლის მანძილზე 77% აფიქსირებს . აქაც მთავარ მიზეზებად ყველგან სურვილისა და დროის არქონა დასახელდა; ასევე ის, რომ არ სმენიათ დაგეგმილი აქტივობების შესახებ;
  ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად ღირებულია იყვნენ პოლიტიკურად ჩართულები და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკით საერთოდ არ არის დაინტერესებული (47%). ამასთან, 24%-ია დაინტერესებული ნატოსთან საქართველოს ურთიერთობით ისევე, როგორც ზოგადად პოლიტიკით საქართველოში (24%);
- ათიდან დაახლოებით ოთხ ახალგაზრდას ჩოხატაურში (37%) უჭირს დაასახელოს ერთი უფლება მაინც, რომელიც სმენია. ამის მიუხედავად, 71% მიიჩნევს, რომ მისი უფლებები დაცულია;
- თითქმის თანაბარია რეგიონში მათი წილი, ვინც არ ფიქრობს (42%) ან ფიქრობს (43%) შიდა მიგრაციაზე. გარე მიგრაციაზე კი არ ფიქრობს უმრავლესობა უახლოესი 2-3 წლის გათვალისწინებით (68%). შიდა მიგრაციის მთავარი მოტივი უკეთეს განათლებაზე ხელმისაწვდომობა, გარე მიგრაციის შემთხვევაში კი - დასაქმების უკეთესი შესაძლებლობაა;
  მიგრაციის გამომწვევი ძირითადი მიზეზებია, უმუშევრობა, შესაბამისი სასწავლო პროგრამების არარსებობა. საკუთარი ცხოვრებით კმაყოფილება ამ ეტაპზე, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, საშუალოზე მაღალია და საშუალო ქულა 5.4-ს უტოლდება მაქსიმალური 7 ქულიდან;
- უახლოესი 10 წლის პერსპექტივაში, როგორც ქვეყნის, ასევე საკუთარი მუნიციპალიტეტისა და პირადად მათი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება დადებითია რეგიონში. ამასთან, პირადი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინი უფრო მაღალია (84%), ვიდრე მუნიციპალიტეტისა (63%) თუ ქვეყნის (59%) შემთხვევაში.

2021 წლის 28 ოქტომბერს ახალგაზრდობის სააგენტოს რეკომენდაციის საფუზველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ახალგაზრდული განვითარების სტრატეგიის ფორმირებისთვის საკოორდინაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან, როგორც ადგილობრივი თვითმმმართველობის წარმომადგენლები ისე არასამთავრობო სექტორი, ახალგაზრდული ორგანიზაციები და ახალგაზრდების წარმომადგნლები.
საკოორდინაციო ჯგუფის პირველ შეხვედრაზე კვლევაზე დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:
1.დასაქმების პრობლემები;
2.ახალგაზრდების ეკონომიკური პრობლემები;
3. კარიერული დაგეგმვის სერვისები არ არის ხელმისაწვდომი;
4. პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების შეუძლებლობა;
5. სტაჟირების/სამუშაო გამოცდილების დაგროვების შესაძლებლობის არქონა;

6. ხარისხიანი სასკოლო განათლების პრობლემა;
7. ტრენინგებზე/საგანმანათლებლო კურსებზე ხელმისაწვდომობის არასებობა;
8.მიგრაცია

9.ჩართულობის ნაკლებობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში
10.სამოქალაქო აქტივობის ნაკლებობა;
11.მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართულობის ნაკლებობა;
12.კერძო და არასამთავრობო სექტორთან თანამშორმლობის პრობლემები;

13. ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა
14.ნაკლებია ახალგაზრდულ სერივისებზე ხელმისაწვდომობა;
15.ისეთი ახალგაზრდული სერვისების არარსებობა, რომლებიც წარმოადგენს ახალგაზრდების ინტერესისის სფეროს;
16. სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის არარსებობა;
17.სპორტით/ფიზიკური აქტივობით დაკავების ნაკლები შესაძლებლობა;
18.გართობისა და დასვენების ადგილებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.

19.ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა;
20. სპეციალური საჭიროებების მქონე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მხარდამჭერი პროგრამების ნაკლებობა.
21. გენდერული თანასწორობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის არქონა.

საკოორდინაციო ჯგუფის მეორე შეხვედრაზე, კვლევაზე დაყრდნობით, ჯგუფის წევრების მოსაზრებების გათვალისწინებითა და მუნიციპალიტეტის ფინანსური თუ ადამიანური რესურსების შესაბამისად, გამოიკვეთა შემდეგი პრიორიტეტები, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტში. ასევე გამოვლინდა პრობლემების გამომწვევი მიზეზები:
პრიორიტეტები:

- ახალგაზრდობის მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშწყობა;
- ახალგაზრდობის აქტივობის წახალისება/ხელშეწყობა;
- ახალგაზრდულ საჭიროებებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება.
- ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი, თანასწორი და თანაბარუფლებიანი გარემოს შექმნა და ადამინის უფლებებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ზემოაღნიშნული პრობლემების გამომწვევად დაასახელეს შემდეგი მიზეზები:

- მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების ხელშწყობის შემთხვევაში: ინფორმირებულობა, სტერეოტიპები, სამუშაო ადგილების ნაკლებობა, კერძო სექტორი (სამუშაო გამოცდილება), სტაჟირების პროგრამების არარსებობა, შესაბამისი კურსების არარსებობა (პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება);
- სამოქალაქო აქტივობის წახალისება/ხელშეწყობის: ინფორმირებულობის ნაკლებობა, უფლებების და ვალდებულებების არცოდნა, მოხალისეობრივი კულტურის არარსებობა და არაპოპულარულობა, მატერიალური წახალისების არარსებობა, უნდობლობა, არასწორი მოლოდინები, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საბჭოების არარსებობა, არასამთავრობო სექტორის პასიურობა.
- ახალგაზრდულ საჭიროებებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის განვითარების შემთხვევაში: ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა, ახალგაზრდულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა, ისეთი ახალგაზრდული სერვისების არარსებობა, რომლებიც წარმოადგენს ახალგაზრდების ინტერესის სფეროს; სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ცხოვრების არაჯანსაღი წესი; სპორტით/ფიზიკური

აქტივობით დაკავების შესაძლებლობის ნაკლებობა; გართობისა და დასვენების ადგილებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა; ადაპტირებული გარემოს არარსებობა;

- მე-4 საკითხზე, ადამიანის ძირითადი უფლებები თანასწორობისა და თავისუფლებისთვის მსჯელობისას კი, გამომწვევ მიზეზებად დასახელდა: უფლებების არცოდნა, უსაფრთხო გარემოს არარსებობა, ფიზიკური ფსიქოლოგიური ძალადობა, ადაპირებული გარემოს არარსებობა; ბულინგი; გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია; ეთნიკური, რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია; სტერეოტიპები/ სტიგმები.

## 4. სტრატეგიის შემუშავების პროცესი

სტრატეგია მომზადდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე და მათი პარტნიორობის შედეგად.

სტრატეგიის შექმნის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და პარტნიორობის დამყარება: 2021 წელს სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთნანამშრომლობის მემორანდუმი, ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ახალგაზრდული განვითარების სტრატეგიის ფორმირებისთვის საკოორდინაციო ჯგუფის მუშაობაში ჩაერთო ჩოხატაურის ახალგაზრდული იდეის, ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის, -ინოვაციებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრის ,,პროგრესის სახლის", ა(ა)იპ Post-ალიონის, შ.პ.ს მედიასახლი ,,გურია ნიუსისა" და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის წარმომადგენლები;
- სახელმწიფო ახალგაზრდობისული პოლიტიკის და იმ არსებული სამთავრობო სტრატეგიებისა და პროგრამების ანალიზი, რომლებიც დაკავშირებულია ახალგაზრდებთან;
- ადგილობრივ დონეზე არსებული პროგრამების, რესურსებისა და სერვისების შესწავლა და სიტუაციური ანალიზი;
- ადამიანური რესურსების შესაძლებლობების გაძლიერება, ახალგაზრდობისპოლიტიკის კოორდინატორებმა გაიარეს ახალგაზრდობის პოლიტიკის მასიური ღია ონლაინ კურსი (MOOC);
- ახალგაზრდობის კვლევა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, რომელიც ჩატარდა ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით და რომლის ფოკუსს წარმოადგენდა: ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება; ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა; და ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამოვლენა;
- სამუშაო შეხვედრები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ და წარმომადგენლობით ორგანოებთან სტრატეგიის პროექტის მომზადებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირების მიზნით;
- სტრატეგიის პროექტის საჯარო განხილვები და დისკუსიები დოკუმენტის სრულყოფის მიზნით, ჩატარდა საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრები, პროექტი გამოქვეყნდა საჯარო განხილვისთვის მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში.

სტრატეგია ეფუძნება მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის სატანდარტს, „2020-2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას“ მუნიციპალიტეტში არსებული სპეციფიკისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებულ კვლევას და უკვე არსებული მეორადი მონაცემების ანალიზს, ახალგაზრდებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის შედეგად შეგროვებულ ინფორმაციასა და იდეებს.

**5. ხედვა**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის შექმნილი იქნება თანაბარუფლებიანი და თანასწორი გარემო, მხარდაჭერილი იქნება მათი სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება, ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა, იყვნენ აქტიური მოქალაქეები, მონაწილეობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განახორციელონ საკუთარი იდეები და ინიციატივები.

**6.სტრატეგიული მიზნები და ამოცანები**

ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ახალგაზრდული განვითარების სტრატეგიის ფორმირებისთვის საკოორდინაციო ჯგუფის წევრებთან ერთად განისაზღვრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიის მიზნები და ამოცანები:

**მიზანი 1. ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობის გაზრდა.**

ამოცანა 1.1. ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა.

ამოცანა 1.2. არასამთავრობო და ახალგაზრდულ სექტორთან მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის ხარსიხის გაზრდა

ამოცანა 1.3. მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდა.

ამოცანა 1.4. მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა.

ამოცანა 1.5. ახალგაზრდების სამოქალაქო განათლების მხარდაჭერა.

ამოცანა 1.6. ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერა.

**მიზანი 2. ახალგაზრდების საჭიროებებზე ორიენტირებული ინფრასტრუქტურის და სერვისების შექმნა.**

ამოცანა 2.1. ახალგაზრდული სივრცეების შექმნა.

ამოცანა 2.2. გართობა-დასვენების და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების გაუმჯობესება.

ამოცანა 2.3. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

**მიზანი 3. ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა.**

ამოცანა 3.1. დასაქმების და სტაჟირების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ამოცანა 3.2 დასაქმებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა.

**მიზანი 4 ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი, თანასწორი და თანაბარუფლებიანი გარემოს შექმნა/ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება.**

ამოცანა 4.1. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის ხელშეწყობა.

ამოცანა 4.2. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება.

ამოცანა 4.3. სპეციალური საჭიროებების მქონე და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა.

**7.სამოქმედო გეგმა**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის სამოქმედო გეგმა სამ წლიანი სტრატეგიის ფარგლებში გაიწერება ერთი წლით და ეტაპობრივად დაფარავს ყველა ამოცანას. პირველი წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში აირჩა კონკრეტული ამოცანები და ჩარჩოში გაიწერა შესაბამისი პროექტები, იმის მიხედვით თუ რა არის ამ ეტაპზე პრიორიტეტული და რისი ფინანსური შესაძლებლობები აქვს მუნიციპალიტეტს.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს სამსახურის სამუშაო გეგმაში, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დეტალურ აღწერას და განხორციელების ვადების გაწერას, ჩოხატაურის მუნიციპლიტეტის ახალგაზრდული განვითარების სტრატეგიის ფორმირებისთვის საკოორდინაციო ჯგუფთან შეთანხმებით.

ძირითადი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, ხოლო იმ ნაწილში რისი ფინანსური შესაძლებლობაც არ აქვს მუნიციპალიტეტს, დეფიციტის შევსება მოხდება დონორების მოძიებით, სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით.

**8.საჯარო კონსულტაციების შედეგები:**

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეები, როგორც საჯარო ისე არასამთავრობო სექტორი და ახალგაზრდული ორგანიზაციები. დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვები მოიცავდა, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებზე განხილვას, ისე პროექტის ვებგვერდზე განთავსებას და ონლაინ თუ პირისპირ შეხვედრებს საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფის წევრებთან და ახალგაზრდების წარმომადგენლებთან.

განხილვის შედეგად გამოიკვეთა ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს არსებობის მნიშვნელობა, მასში გაერთიანებული ახალგაზრდების ტერიტორიული ერთეულების მიხედვით შერჩევის აუცილებლობა.

პრიორიტეტულ საკითხად დასახელდა, ასევე ახლაგაზრდული სივრცის არსებობა, სივრცის მართვის უფლებამოსილბის მინიჭება ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოსთვის.

მნიშვნელოვან საკითხად დასახელდა ახალგაზრდების დასაქმბის შესაძლებლობების ზრდა და შესაბამისი სტაჟირების პროგრამების შექმნა.

**9.განხორციელება**

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სტარტეგიის განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებაა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც დოკუმენტის განხორციელების პროცესში აქტიურად თანამშრომლობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, საჯარო თუ სამოქალაქო სექტორთან, ასევე მართავს ყოველთვიურად შეხვედრებს ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან (ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოსთან) და იღებს შესაბამის რეკომენდაციებს.

ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შუძლია მონაწილეობა მიიღოს სტრატეგიის განხორცელების პროცესში, რისთვისაც უნდა მიმართოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს, ამასთან აღნიშნული სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მუნიციპალიტეტის ვებგვერდის მეშვეობით და ნებისმიერ მხარეს შეეძლება გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და ჩაერთოს პროცესებში, უზრუნველყოფილი იქნება, როგორც პირისპირ ისე ონლაინ შეხვედრები.

**10.მონიტორინგი და შეფასება**

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასებისთვის:

მერიის შესაბამისი სამსახური 6 (ექვს) თვეში ერთხელ ამზადებს სტატუს ანგარიშს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ, აღნიშნული ანგარიში ეგზავნება შესაბამის სამუშაო ჯგუფს.
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიაში იქმნება სააკორდინაციო სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ახალგაზრდული მუშაკები. სამუშაო ჯგუფი მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ მიწოდებული სატატუს ანგარიშების საფუძველზე ამზადებს მონიტორინგის წლიურ ანგარიშს სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შესახებ და წარუდგენს მერს, აღნიშნული ანგარიში ქვეყნდება საჯაროდ და განხილვის მიზნით ეგზავნება საკრებულოს, რომელიც ცნობად იღებს ანგარიშს და გასცემს რეკომენდაციებს.
შეფასების ანგარიშები მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების პერიოდში მზადდება ორჯერ - შუალედური შეფასება ტარდება დოკუმენტის დამტკიცებიდან 2 წლის თავზე 2023 წლის დეკემბრის თვეში, ხოლო საბოლოო შეფასება - დოკუმენტის ვადის გასვლისას 2024 წლის დეკემბრის თვეში.
ახალგაზრდობის პოლიტიკის დოკუმენტის შესაფასებლად გამოყენებული იქნება შერეული ტიპის შეფასება, როდესაც მერიას შეიძლება ეხმარებოდნენ დამოუკიდებელი გარე ექსპერტები, ორგანიზაციები ან/და სხვა სახელმწიფო უწყებები.

მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების სტრუქტურა, შეფასების მეთოდოლოგია განისაზღვრება მუნიციპალური ახალგაზრდობის პოლიტიკის სტანდარტის შესაბამისად.

მონაცემების შეგროვებაზე და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია მერიის შესაბამისი სამსახური.